

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის
ოქმი №10

ქ. ახმეტა

23 მარტი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა: თამარ ყვინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ: თ. წითელაური, ა. შათირიშვილი, ზ.გარსევანიძე
ახმეტის მუნიციპალიტეტის გ. ჯუგაშვილი, გ. ქიტესაშვილი, ნ. აბალოძე,
საკრებულოს წევრები: რ. ბადაკაშვილი, მ. ალხანაშვილი, დ. მურთაზაშვილი
ა. მექვევრიშვილი, ი. უჯირაული, ლ. გოგოთიძე,
ა. ფიცხელაური, დ. ძევისაშვილი, გ. მაისურაძე,
ა. მარუქაშვილი, გ. შორთიშვილი, თ. ბოდაველი,
გ. უძილაური, ა. მაილაშვილი, თ. ბორჩაშვილი,
ვ. დედაბრიშვილი, ც. გრძელივანიშვილი,
ბ. ჭიჭიკლიშვილი, ზ. ქინქლაძე, ს. იჭირაული,
ა.ძეგველიშვილი, ა. ნახუცრიშვილი.

სხდომა გაიხსნა 12⁰⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ თამარ ყვინიშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს
გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვადამდე უფლ. პამოსილება შეწყვეტილი წევრის მამუკა ხოლეგაშვილის, ადგილმონაცვლის დავით ძებისაშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ ბოდაველი/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ ბოდაველი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო, თხოვნების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი - ლუბუმი შეთეკაური/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვადამდე უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის მამუკა ხოლეგაშვილის, ადგილმონაცვლის დავით ძებისაშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ ბოდაველი/

მომხსენებელმა თეიმურაზ ბოდაველმა განმარტა, რომ საკრებულოს წევრის მამუკა ხოლეგაშვილის პირადი განცხადების საფუძველზე მოხდა მისი უფლებამოსილების შეწყვეტა, რამაც გამოიწვია მისი პარტიული სიით, რიგით მომდევნოს ჩანაცვლება დავით ძევისაშვილით.

გთხოვთ მიიღოთ ცნობად.

ინფორმაცია ცნობად იქნა მიღებული

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ ბოდაველი/

მომხსენებელმა განმარტა: იმის გამო, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე თამარ ყვინიშვილი არჩეულ იქნა ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ, ამ გარემოებამ გამოიწვია კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა.

გთხოვთ საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.

ინფორმაცია ცნობად იქნა მიღებული

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი - ლუბუმი შეთეკაური/

მომხსენებელმა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო საკითხი და აღნიშნა, რომ საქმე ეხება შემდეგ ავტომობილების გადაცემას:

ა) „მერსედეს ბენცი“, მოდელი AXOR 1824, სარეგისტრაციო ნომერი OQ 470 00, გამოშვების წელი 2016, ფერი-მწვანე, ტიპი-„სპეციალიზებული“.

ბ) „მერსედეს ბენცი“, მოდელი ATEGO 1318, სარეგისტრაციო ნომერი OQ 469 00, გამოშვების წელი 2016, ფერი-მწვანე, ტიპი-„სპეციალიზებული“.

გ) „მერსედეს ბენცი“, მოდელი ATEGO 1018, სარეგისტრაციო ნომერი OQ 471 00, გამოშვების წელი 2016, ფერი-მწვანე, ტიპი-„სპეციალიზებული“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რასაც სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა მხარი დაუჭირა.

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №10 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ა.ა.ი.პ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს სთხოვა დაესახელებინათ იურიდიულ საკითხთა კომისიის და ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის კანდიდატები.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე დასახელდა ორი კანდიდატი.

ალექსი ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ ფრაქცია „დემოკრატიული მოძრაობა“ ასახელებს ირაკლი უჯირაულს.

საკრებულოს წევრები: გ. ჯუგაშვილი, რ. ბადაკაშვილი, ე. ბორჩაშვილი, ნ. აბალოძე, მ. ალხანაშვილი, ც. გრძელივანიშვილი ასახელებენ ზურაბ გარსევანიძეს.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე დასახელდა ორი კანდიდატი.

გია უმილაურმა აღნიშნა, რომ ი. უჯირაული, ა. ფიცხელაური, ს. იჭირაული აძეგველიშვილი და ამირან ნახუცრიშვილი ასევე თვითონ ასახელებენ თეიმურაზ ბოდაველს.

საკრებულოს წევრები: გ. ჯუგაშვილი, ზ. გარსევანიძე, ც. გრძელივანიშვილი, ნ. აბალოძე, ე. ბორჩაშვილი, რ. ბადაკაშვილი ასახელებენ მაგდანა ალხანაშვილს.

12 საათსა და 25 წუთზე საკრებულოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 15 წუთით, რათა საკრებულოს აპარატმა მოახდინოს კენჭისყრისთვის საჭირო პროცედურების მომზადება.

საკრებულოს სხდომა განახლდა 12 საათსა და 40 წუთზე.

საკრებულოს წევრმა ალექსი მარუქაშვილმა ითხოვა, რომ კანდიდატებს მოკლედ წარმოედგინათ საკუთარი ხედვა, თუ რატომ სურთ აღნიშნული თანამდებობების დაკავება.

ირაკლი უჯირაულმა აღნიშნა, რომ იგი მზადაა დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა, რადგან მას ამის საშუალებას აძლევს თავისი პროფესიული განვითარება. იგი სრულ პასუხისმგებლობას იღებს, რომ კომისიამ იმუშაოს გამართულად, რათა თავიდან ავიცილოთ გარკვეული სახის დარღვევები, რომელთაც რამოდენიმეჯერ ჰქონდა ადგილი.

ზურაბ გარსევანიძემ აღნიშნა: ყოველ საქმეში მთავარია მონდომება და იმ შემთხვევაში, თუ საკრებულო გამოუცხადებს ნდობას ყველანაირად შევეცდები გავამართლო ნდობა.

თეიმურაზ ბოდაველია აღნიშნა, რომ ყოველთვის ცდილობს გაჭირვებული ადამიანების დახმარებას, აღნიშნული თანამდებობის დაკავება კი მას ამის საშუალებას მისცემს.

მაგდანა ალხანაშვილმა აღნიშნა, რომ მზადყოფნას გამოთქვამს აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად.

ჩატარდა კენჭისყრა ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

კენჭისყრაში რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27 - მა წევრმა.

ამ თანამდებობაზე დასახელებულმა კანდიდატებმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს.

დაიდგა ყუთი.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა ბიულეტენების გამოყენებით.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ დაითვალა ხმები.

ხმები გადანაწილდა შემდეგნაირად:

1. ირაკლი უჯირაული - 11 ხმა
2. ზურაბ გარსევანიძე - 13 ხმა

გაბათილდა 3 ბიულეტენი.

არ მოხდა თავმჯდომარის არჩევა სათანადო ხმების უკმარისობის გამო.

ჩატარდა კენჭისყრა ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

კენჭისყრაში რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27 - მა წევრმა.

ამ თანამდებობაზე დასახელებულმა კანდიდატებმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს.

დაიდგა ყუთი.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა ბიულეტენების გამოყენებით.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ დაითვალა ხმები.
ხმები გადანაწილდა შემდეგნაირად:

1. მაგდანა ალხანაშვილი - 14 ხმა
2. თეიმურაზ ბოდაველი - 10 ხმა

გაბათილდა 3 ბიულეტენი.

არ მოხდა თავმჯდომარის არჩევა სათანადო ხმების უკმარისობის გამო.

საკრებულოს თავმჯდომარემ შესთავაზა საკრებულოს წევრებს, რომ ერთ საათიანი შესვენების შემდეგ მოხდეს მეტი ხმის მქონე კანდიდატებს შორის კენჭისყრა. რასაც საკრებულოს წევრთა უმრავლესობა არ დაეთანხმა.

აზრი გამოთქვეს: ზაქარია ქინქლაძემ შესთავაზა საკრებულოს წევრებს გაიარონ შესაბამისი კონსულტაციები და მხოლოდ ამის შემდეგ მორიგ სხდომაზე მოხდეს თავმჯდომარეების არჩევა.

ირაკლი უჯირაული დაეთანხმა წარმოდგენილ წინადადებას და აღნიშნა, რომ ყველამ თვალი უნდა გავუსწოროთ შექმნილ სიტუაციას და არ უნდა შემოვიფარგლოთ ვიწრო პარტიულ, თუ ფრაქციული ინტერესებით.

საკრებულოს ყველა წევრი დაეთანხმა წარმოდგენილ წინადადებას კენჭისყრის არჩატარების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა, დამსწრე საკრებულოს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს წინადადების დაყენების სურვილი არ გამოუთქვამთ.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 13⁴⁵ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



თამარ ყვინიშვილი